

აგრესიული ქცევის მართვა მოზარდებში (კოგნიტურ-ბიჰევიორალური
ტრენინგის გამოყენებით)

ნინო გიგოლაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

ნინო გიგოლაშვილი

08.07.2020

აბსტრაქტი¹

ნაშრომის საკვლევი საკითხი წარმოადგენს აგრესიის მართვას მოზარდებში კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის გამოყენებით.

საკითხი საკმაოდ აქტუალურია, იქიდან გამომდინარე, რომ მოზარდებში იმატა აგრესიულმა ქცევამ, რაც ხშირად ვლინდება - კონფლიქტებში თანატოლებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და ზოგჯერ მკვლელობითა და სუიციდითაც კი მთავრდება. საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებით სიღრმისეული კვლევების დანერგვა, ჩატარება და პრობლემის მოგვარების გზების ძიება.

კვლევის მიზანი იყო კოგნიტურ - ბიჰევიორალური თერაპიის ეფექტურობის დადგენა აგრესიის დონის შემცირების მიზნით, რათა მომავლის პერსპექტივაში შესაძლებელი გახდეს მისი დანერგვა საქართველოს სკოლებში.

კვლევა არის ექსპერიმენტული, ჩატარდა ოთხ ეტაპად, პირველ ეტაპზე მასწავლებლების მიერ გამოვლინდა აგრესიული ქცევის მქონე მოსწავლეები (გილავრენტიევას და ტიტარენკოს აგრესიის დონის კვლევის მოდიფიცირებული ტესტით), მეორე ეტაპზე იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აღმოაჩნდათ მაღალი აგრესიულობა, მასწავლებლების გამოკითხვით შევავსებინეთ თვითანგარიშის კითხვარი, გამოყენებული იყო ბასა დარკის აგრესიის საკვლევი კითხვარი, კვლევის მესამე ეტაპი მოიცავს ტრენინგს, მონაწილეებს ჩაუტარდათ კოგნიტურ-ბიჰევიორალური ტრენინგი. მეოთხე ეტაპზე ტრენინგის დასრულების შემდეგ იმავე კითხვარების გამოყენებით, ისევ ჩავატარე მონაწილეებთან და მასწავლებლებთან გამოკითხვა, აგრესიის დონის შემოწმების მიზნით.

¹ აბსტრაქტში მოცემული საკვლევი საკითხი, აქტუალობა და კვლევის მიზანი დაწერილია აკადემიური წერის ფარგლებში და ატვირთულია მუდღეზე

ტრენინგის დასრულების შემდეგ შემცირდა აგრესიის დონე როგორც ბიჭებში, ასევე გოგონებში, მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რადგან აგრესიული ქცევა მოზარდებში სერიოზულ პრობლემად იქცა, საჭიროა პრევენციის გზების ძიება, რის საშუალებასაც კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია იძლევა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: აგრესიული ქცევა, კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია, ტრენინგი, ექსპერიმენტული ჯგუფი, საკონტროლო ჯგუფი.

აბრევიატურები:

CBT - კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია

CBI - კოგნიტურ-ბიჰევიორალური ჩარევა

ART- აგრესიის ჩანაცვლების ტრენინგი

SCARE - მოსწავლეების მიერ შექმნილი აგრესიის ჩამანაცვლებელი განათლება

Abstract

This research topic represents aggression management in adolescents, using cognitive behavioral therapy.

The issue is quite relevant considering the fact that, aggressive behavior is increased, which is often revealed – in conflict with peers, teachers, parents, which is often ended with murder and suicide. It is needed to study that issue in-depth and find out ways of solutions of the problem.

The aim of the study was to determine the efficiency of cognitive behavioral therapy, with regard to reduction of the aggression level to make it possible for its introduction in schools of Georgia as a future run.

This research is an experimental, that was conducted in four stages, In the first stage, students with aggressive behavior were identified by teachers, (the modified test of the research of Gilavrentieva and T. Tutarenko's aggression level.), In the second stage, we filled out a self-report questionnaire for the students who were found to be highly aggressive by interviewing teachers, where there was used Basa Dark aggression research questionnaire, the third stage of the research includes training, cognitive behavioral training was conducted to the participants. After the training, in the fourth stage, using the same questionnaires, I again conducted a survey with participants and teachers to check the level of aggression.

After completion of the training, aggression level was decreased as in boys also in girls. the Data is statistically significant.

The survey results are important because aggressive behavior in adolescents turned into a serious problem. It is needed to search the ways of prevention that allows the cognitive behavioral therapy.

The main thematic keywords: aggressive behavior, cognitive behavioral therapy, training, experimental and control group.

Abbreviations:

CBT - Cognitive behavioral therapy

CBI - Cognitive behavioral intervention

ART- Aggression Replacement Training

SCARE - Student-Created Aggression Replacement Education

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ქალბატონ ჯანა კახიანს. მისი რჩევები და რეკომენდაციები ძალიან დამეხმარა და მნიშვნელოვანი იყო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფისათვის.

ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ქალბატონ ირინა ვარდანაშვილს, მონაცემების დამუშავებაში გაწეული დახმარებისათვის.

დიდ მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის 133-ე და 49-ე საჯარო და კერძო სკოლა „მერმისის“ ადმინისტრაციას, რათა უფლება მომცეს მათ სკოლაში ჩამეტარებინა კვლევა, უღრმესი მადლობა სამივე სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, რომლებიც დიდი ინტერესითა და შემართებით ჩაერთნენ კვლევაში.